

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

„საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის გამოქვეყნებისა და მისი საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის შექმნის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. საქართველოს კონსტიტუციის 102-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნდეს საქართველოს პარლამენტის წევრთა მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი (№07-3/580, 26.03.2012) „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტი.

2. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 176-ე მუხლის პირველი, მე-2 და 2¹ პუნქტების შესაბამისად შეიქმნას საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისია 24 წევრისაგან, შემდეგი შემადგენლობით:

პავლე კუბლაშვილი – საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე (კომისიის თავმჯდომარე)

ლევან ვეფხვაძე – საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე

პაატა დავითაია – საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე

აკაკი მინაშვილი – საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე

ვახტანგ ბალავაძე – საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების კომიტეტის თავმჯდომარე

ხათუნა გოგორიშვილი – საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარე

ლაშა თორდია – საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე

პეტრე ცისკარიშვილი – საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი

გია თორთლაძე – ფრაქცია „ძლიერი საქართველოს“ თავმჯდომარე

გიორგი ახვლედიანი – ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების“ თავმჯდომარე

დიმიტრი ლორთქიფანიძე – ფრაქციის „ერთობა სამართლიანობისთვის“ თავმჯდომარე

კარლო კოპალიანი – ფრაქციის „ერთობა სამართლიანობისთვის“ თავმჯდომარის მოადგილე

ჩიორა თაქთაქიშვილი – საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე

ნიკოლოზ ლალიაშვილი – საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

მაგდალინა ანიკაშვილი – საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

რატი მაისურაძე – საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

გიორგი კანდელაკი – საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

ანდრო ალავიძე – საქართველოს პარლამენტის წევრი

გიორგი ცაგარეიშვილი – საქართველოს პარლამენტის წევრი

დიმიტრი ძაგნიძე – საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე

გია ხუროშვილი – საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანი

ირაკლი ბურდული – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, სრული პროფესორი

დავით კერესელიძე – სამართლის დოქტორი, სრული პროფესორი

ქეთევან ქოქრაშვილი – სამართლის დოქტორი, სრული პროფესორი.

3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარის მოადგილე გ.წერეთელი
თბილისი,
20 12 წლის 30 მარტი.
№6002– II

პროექტი

საქართველოს კონსტიტუციური კანონი

საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

საქართველოს კონსტიტუციის (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1995, № 31-33, მუხ. 668) 49-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„2. პარლამენტის წევრად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 21 წლის ასაკიდან.“.

მუხლი 2

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი მ. სააკაშვილი

განმარტებითი ბარათი

საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტზე „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის თაობაზე

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

პარლამენტის, როგორც ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს, საქმიანობის შედეგიანობა და მის მიერ საზოგადოების წარმომადგენლობის მაღალი ხარისხი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორია პარლამენტის შემადგენლობა, რამდენად აქვთ სათანადო მომზადებისა და განათლების მქონე ნებისმიერი თაობის პროფესიონალ მოქალაქეებს მის საქმიანობაში მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობა.

საქართველოს კონსტიტუციის 49-ე მუხლით საქართველოს პარლამენტის წევრად შეიძლება არჩეულ იქნეს პირი 25 წლის ასაკიდან. დემოკრატიის მშენებლობისა და სამართლებრივი რეფორმების მოცემულ ეტაპზე, მიზანშეწონილია გადაიხედოს აღნიშნული შეზღუდვა, რათა სწრაფად ცვალებადი პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესების სახელმწიფოებრივ მართვაში ჩართვის შესაძლებლობა 3 ქონდეთ ახალგაზრდებს, რომლებიც ხალხის ნდობის მოპოვების შემთხვევაში არჩეული იქნებიან ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში და ამ გზით მონაწილეობას მიიღებენ ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებაში.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი.

კანონპროექტით გათვალისწინებული ცვლილების მიზანია 21 წელს მიღწეული საქართველოს მოქალაქისათვის შესაძლებლობის მინიჭება არჩეულ იქნეს საქართველოს პარლამენტის წევრად. საინტერესოა, რომ საზღვარგარეთის დემოკრატიული სახელმწიფოების მნიშვნელოვანი ნაწილი უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წევრად არჩევის შესაძლებლობას ანიჭებს სწორედ 21 წლის მოქალაქეს (პოლონეთი, ჩეხეთი, ისრაელი, ლატვია, ბულგარეთი, ბელგია, ესტონეთი, სლოვაკეთი, ალბანეთი, ავსტრია), ზოგიერთი ქვეყანა ითვალისწინებს უფრო დაბალ ასაკობრივ ცენზს (გერმანია, უკრაინა, დიდი ბრიტანეთი, სლოვენია, უნგრეთი, მონტენეგრო მაკედონია, ხორვატია) , სადაც ეს

უფლება წარმოიშობა 18 წლის ასაკიდან.

ა.გ) კანონპროექტის არსი.

კანონპროექტით საქართველოს პარლამენტის წევრად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 21 წლის ასაკიდან.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო.

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას .

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

კანონპროექტის მიღება გავლენას არ ახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებებს .

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტით გათვალისწინებული ებული სიახლეები არ უკავშირდება დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

უშუალოდ პროექტის მიღება არ წარმოშობს ფინანსურ შედეგებს იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახადელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტით არ ხდება გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახადის ოდენობის განსაზღვრა.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან.

კანონპროექტი შესაბამისობაშია საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან.

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში

ასეთი არ არსებობს

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორია საქართველოს პარლამენტის წევრი პავლე კუბლაშვილი

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

კანონპროექტის ინიციატორები არიან საქართველოს პარლამენტის წევრები:

ეკატერინე ხერხეულიძე, ელდარ კვერნაძე, ირაკლი ქავთარაძე, ზურაბ მელიქიშვილი, ხათუნა ოჩიაური, ჩიორა თაქთაქიშვილი, მიხეილ მაჭავარიანი, გოჩა ენუქიძე, კობა ხაბაზი, ლაშა თორდია, ზვიად კუკავა, გურანდა ჯაბუა, თეიმურაზ წურწუშია, კორნელი კუკულავა, ვასილ დავითაშვილი,

ზაზა გულიკაშვილი, ზურაბ კიკალეიშვილი, გიორგი იმნაძე, კახა გეწაძე, თემურ კოხოძე, ვახტანგ მარტოლეკი, სამსონ ქუთათელაძე, ოთარ ხინიკაძე, ნაული ჯანაშია, ნუგზარ აბულაშვილი, გიორგი ტალახაძე, ირაკლი კენჭოშვილი, როლანდ კემულარია, ედიშერ ჯალალონია, გოჩა შანიძე, ოთარ თოიძე, გელა ლონდარიძე, ავთანდილ ლეკაშვილი, ზაალ გამცემლიძე, არჩილ გეგენავა, ნუგზარ წიკლაური, ისვახან შამილოვი, დავით დარჩიაშვილი, გიორგი გოდაბრელიძე, მამუკა სანებლიძე, დავით ჭავჭავანიძე, მამუკა გოგატიშვილი, დავით თოდრაძე, აკაკი მინაშვილი, ენზელ მკოიანი, დავით ნადაშვილი, ვახტანგ ბალავაძე, არმენაკ ბაინდურიანი, გიორგი ასანიძე, თენგიზ სხირტლაძე, გიორგი ჭელიძე, ზაზა მადურაშვილი, მამუკა გაჩეჩილაძე, კობა ბადაგაძე, როლანდ ფიფია, გიორგი კანდელაკი, გიორგი გაბაშვილი, შოთა მალაშხია, გიორგი გოგუაძე, გიორგი წერეთელი, პეტრე ცისკარიშვილი, აკაკი ბობოხიძე, კახაბერ სუხიშვილი, გიორგი ხახნელიძე, ლაშა დამენია, რატი სამყურაშვილი, ბეჟან ბუცხრიკიძე, რუსუდან კერვალიშვილი, რომანოზ ბჟალავა, მიხეილ ცქიტიშვილი, აზერ სულეიმანოვი, ჯაბა მალლაკელიძე, პავლე კუბლაშვილი, ანდრო ალავიძე, მარიკა ვერულაშვილი, ანზორ ბოლქვაძე, პაატა ლეჟავა, გიორგი მელაძე, გოჩა კუპრავა, ელენე ჯავახაძე.